*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები
მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)

**შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი
23.12.2025-9.01.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი
05.02.2026

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ... 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ... 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ... 14

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ... 19

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ... 21

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ... 28

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლელა ვანიშვილი, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | U.S. Foreign Affairs |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | (ISCED – F – 2013): 0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკასა და ინფორმაციას |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | - |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 ECTS კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | - |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული მიდგომით შექმნილ, ინგლისურენოვან სასწავლო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას ამერიკის საგარეო პოლიტიკის ანალიზისა და კვლევის მიმართულებით. პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომელთაც აქვთ ინტერესები საერთაშორისო ურთიერთობებში, დიპლომატიაში, გლობალურ პოლიტიკაში, ტრანსატლანტიკურ უსაფრთხოებასა და საქართველოს საგარეო კურსის საკითხებში.
პროგრამა ეფუძნება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში წარმატებით განხორციელებულ ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას და აგრძელებს მას სამაგისტრო დონეზე. იგი ითვალისწინებს უახლეს გლობალურ გამოწვევებს და ორიენტირებულია ამერიკის საგარეო პოლიტიკის ევოლუციის ანალიზზე ცივი ომის შემდგომ პერიოდიდან დღემდე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარდგენილი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.
შეფასების პროცესი განხორციელდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და არ ითვალისწინებდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებას.
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 2025 წლის 7 ნოემბრის №3879-IBSU-01 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1579119, 10.11.2025) წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა 60-დღიანი ვადა „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნული ვადა უკავშირდებოდა მიმდინარე შეფასებების ფარგლებში (ბრძანებები №544336, №544337, №544335; ოქმი №1322492) გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა აკადემიური პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოწვეული ლექტორების სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი სივების/რეზიუმეების განახლებას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულდა დადგენილ ვადებში. ამავე ვადებში უსდ-მ ცენტრში წარადგინა განახლებული რეზიუმეები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ამერიკის საგარეო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტებს. პროგრამა გამოკვეთილად განსაზღვრავს მიზნებსა და სწავლის შედეგებს, რომლებიც მორგებულია ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები სტუდენტზეა ორიენტირებული და ხელს უწყობს მათ თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას. უზრუნველყოფილია შესაბამისი აკადემიური პერსონალი და ინფრასტრუქტურა. პროგრამა აღჭურვილია შიდა და გარე შეფასების მექანიზმებით, რაც უზრუნველყოფს მისი ხარისხის უწყვეტ მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა აკმაყოფილებს ხარისხიან განათლებასთან დაკავშირებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

---

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - **სასურველია, სასწავლო კურსებში გაღრმავდეს პრაქტიკული ნაწილი**, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს სტუდენტების თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარი. განსაკუთრებით იმ კურსებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო პოლიტიკის ანალიზთან, დიპლომატიურ ურთიერთობებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის მექანიზმებთან და მედიასთან ურთიერთობასთან.
  - სასურველია პროგრამის სავალდებულო კომპონენტში გადავიდეს სტაჟირების კომპონენტი რომელიც პირდაპირ დაუკავშირდება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულებას არ წარმოუდგენია დამატებითი გარემოებები ან მტკიცებულებები, რომლებიც გამოიწვევდა წარმოდგენილი დასკვნის გადახედვის აუცილებლობას; შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნა დაწესებულების მოსაზრებების განხილვის შემდეგ უცვლელად დარჩა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ლოგიკურ გაგრძელებას. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა — საქართველოში ერთადერთი — ხორციელდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, რაც საერთაშორისო პარტნიორობის ერთ-ერთ ძლიერ საფუძველს ქმნის.
პროგრამის შინაარსი მოიცავს შემდეგ ძირითად თემატურ ბლოკებს:

- ამერიკის ისტორია, ლიტერატურა, კულტურა, გეოგრაფია, მულტიკულტურალიზმი;
- აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, გლობალური უსაფრთხოება, ტერორიზმის წინაამდეგი სტრატეგიები;
- საქართველოსა და ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან სტრატეგიული კავშირების გააზრება.

პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს საშუალება გააანალიზონ და შეაფასონ ამერიკის საგარეო ურთიერთობების ფორმირებისა და ტრანსფორმაციის ძირითადი ეტაპები, როგორც ცივი ომის შემდგომი სამყაროს ჭრილში, ისე 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. აქცენტი კეთდება როგორც თეორიულ ასპექტებზე (საგარეო პოლიტიკის თეორიები, ინსტიტუციური გავლენები), ასევე პრაქტიკულ ანალიტიკურ უნარებზე.
პროგრამა პასუხობს შრომის ბაზრის — როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო — მზარდ ინტერესს საერთაშორისო ურთიერთობების, საჯარო პოლიტიკის, სტრატეგიული ანალიზისა და უსაფრთხოების საკითხების მიმართ.
პროგრამა მიზნად ისახავს:

- კურსდამთავრებულის აღჭურვას სტრატეგიული ანალიზის უნარებით;
- ეროვნული ინტერესების გააზრებისა და საგარეო პოლიტიკის ინსტიტუციური ფუნქციონირების კომპლექსური შეფასების უნარის განვითარებას;
- პოლიტიკური სისტემებისა და გლობალური პროცესების დინამიკის საფუძვლიან გააზრებას.

ამავე დროს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, მაგისტრის საფეხურზე განსაზღვრულია კომპლექსური პრობლემების გადაჭრის, დამოუკიდებელი კვლევისა და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარები — ყველა ეს კომპონენტი ინტეგრირებულია პროგრამის მიზნებში.
პროგრამის მიზნები სტრუქტურულად ჩამოყალიბებულია, მჭიდროდ უკავშირდება საბაკალავრო საფეხურის ლოგიკურ გაგრძელებას, არის შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. სტრატეგიული ფოკუსი საქართველოსა და ევრო-ატლანტიკურ კონტექსტზე ამაღლებს პროგრამის აქტუალობასა და ღირებულებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- ამერიკის შეერთბული შტატების საგარეო ურთიერთობების პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**შეფასება**

პროგრამა შესაბამისია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შრომის ბაზრის საჭიროებებსა და თავად პროგრამის მიზნებს. ისინი ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, სტრუქტურულად და გამოხატავენ როგორც აკადემიური, ისე პროფესიული კუთხით კურსდამთავრებულის მომზადების ხარისხს.

პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ინტერდისციპლინარული და თეორიულად სიღრმისეული ბაზისი, რომელიც მოიცავს აშშ-ის საგარეო ურთიერთობების ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ, ინსტიტუციურ და სტრატეგიულ ასპექტებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გლობალიზაციის პროცესებზე, უსაფრთხოების დისკურსებზე, ტერორიზმთან ბრძოლაზე, დემოკრატიული ტრანზიციების პრობლემატიკასა და ამერიკის საგარეო პოლიტიკის მოქმედ კონტექსტზე. ეს პასუხობს საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის ბაზრის იმ მოთხოვნებს, რაც გულისხმობს ღრმა ანალიტიკური კომპეტენციების მქონე კადრების მომზადებას.

პროგრამის სწავლის შედეგებში ვლინდება როგორც კვლევითი და ანალიტიკური, ასევე კომუნიკაციური და სტრატეგიული დაგეგმარების უნარების განვითარება. კურსდამთავრებულს მიეცემა საშუალება დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევები, შეაფასოს და გააანალიზოს სხვადასხვა ფაქტორი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, იდენტიფიციროს პრობლემები და იმუშაოს მათ გადაჭრაზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებით. პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს არა მხოლოდ პრობლემის გააზრებას, არამედ კონსტრუქციული მიდგომების მოძიებასაც. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესში კურსდამთავრებული ეუფლება სამეცნიერო წერის, საჯარო და აკადემიური კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და მიზანმიმართული არგუმენტირების უნარებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებითი შედეგია სტრატეგიული და კრიტიკული აზროვნების განვითარება, ასევე დემოკრატიული პრინციპების მიმართ მზარდი მგრძნობელობა.

სწავლის შედეგების შინაარსი და ფორმულირება მჭიდროდ არის დაკავშირებული საგნობრივ მოდულებთან და კურსებთან, რაც უზრუნველყოფს მათი მიღწევადობის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფას. კურიკულუმის სტრუქტურა და შეფასების მეთოდები სწავლის შედეგების შესაბამისი და კონტროლირებადი განხორციელების გარანტიაა.

შედეგები ასევე მორგებულია შრომის ბაზრის მოლოდინებს: მათ შორის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საგარეო საქმეთა უწყებების, ანალიტიკური ცენტრებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილ პროფილზე – ანალიტიკოსებზე, პოლიტიკის მკვლევრებზე, სტრატეგებზე, რომლებიც ადეკვატურად რეაგირებენ რეგიონულ და გლობალურ გამოწვევებზე.

ამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოადგენს აკადემიური მიზნების, ეროვნულ ჩარჩოსა და შრომის ბაზრის მოლოდინების დამაკმაყოფილებელ სინთეზს. მათი ცალსახა და სტრუქტურირებული ფორმულირება ქმნის საფუძველს პროგრამის მიზნობრივი, ეფექტიანი და კონტროლირებადი განხორციელებისთვის. სწავლის შედეგები, პროგრამის შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და შეფასების მექანიზმებთან სინქრონიზაციაში, ქმნის ინტეგრირებულ საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მაღალი პროფესიული კომპეტენციის განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- ამერიკის შეერთბული შტატების საგარეო ურთიერთობების პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- გარე ექსპერტების შეფასებები

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ○

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების შეფასების მრავალდონიანი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასებებს, უზრუნველყოფს სანდოობას, გამჭვირვალობას და რეალურად ასახავს სტუდენტების მიერ მიღწეულ აკადემიურ პროგრესს. ამ მექანიზმის მიზანია სწავლების ეფექტიანობის, დაგეგმილი შედეგების და სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შეფასების შედეგების მონიტორინგი და ანალიზი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში და წარმოადგენს რეგულარულ ციკლს:

- კურსების დასრულების შემდეგ სტუდენტების მიერ ივსება **შეფასების ფორმები**;
- ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, პედაგოგიურ ჯგუფში მიმდინარეობს დისკუსია საჭირო ცვლილებების შესახებ.

ასევე, ხარისხის განვითარების სამსახურის მიერ ხორციელდება პროგრამის შედეგების გარე შეფასების მექნიძმები, როგორიცაა:

**დამსაქმებელთა შეფასებები**

- უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების სამსახური რეგულარულად ატარებს დამსაქმებელთა გამოკითხვას, რომელიც ფოკუსირდება კურსდამთავრებულების პროფესიულ კომპეტენციებზე;

**გარე ექსპერტების შეფასებები**

- პროგრამა პერიოდულად ექვემდებარება გარე აკადემიური ექსპერტების შეფასებებს (მაგალითად, ბენჩმარკინგის ანალიზი საერთაშორისო უნივერსიტეტებთან), რაც ააშკარავებს სწავლის შედეგების სტანდარტებთან შესაბამისობას და შესაძლებლობების ზონებს.

**კურსდამთავრებულების გამოკითხვა და გამჭვირვალობა**

- უნივერსიტეტი ახორციელებს **ელექტრონულ გამოკითხვებს კურსდამთავრებულებს შორის**, რაც იძლევა ინფორმაციას მათი შეფასებისა და თვითშეფასების შესახებ:

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი **სისტემურია,** მრავალგანზომილებიანი და განვითარებაზე ორიენტირებული. პროგრამა იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასებებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ეფექტიანობას. კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების შეფასებების ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამა ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო და შრომითი ბაზრის მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ბენჩმარკინგი

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამა „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები" შემუშავებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

- პროგრამა მოიცავს თეორიულ, გამოყენებით და კვლევით კომპონენტებს, რაც უზრუნველყოფს აკადემიური და პრაქტიკული კომპეტენციების გაწონასწორებულ განვითარებას.
- ძირითადი კურსები ფოკუსირებულია ამერიკის საგარეო პოლიტიკის ისტორიულ ეტაპებზე, პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და გეოპოლიტიკურ სტრატეგიებზე, რაც შემდგომ იწვევს კვლევითი კომპონენტის გაღრმავებას.
- კურსთა თანმიმდევრობა ხელს უწყობს სტუდენტის უნარების ეტაპობრივ და მიზნობრივ განვითარებას.

პროგრამა აერთიანებს დისციპლინებს, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, ისტორია, გენდერული კვლევები, მულტიკულტურალიზმი და მედიის ანალიზი. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტის კომპლექსურ მზაობას იმ გლობალური საკითხების მიმართ, რომლებიც ამერიკის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დგას.

პროგრამის ყველა მოდული გაწერილია შესაბამისად სწავლის შედეგებისა და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს გათვალისწინებით.

პროგრამა უზრუნველყოფს შემდეგი შედეგების მიღწევას:

- ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების, ინტერესებისა და გადაწყვეტილებების ანალიზი;
- ისტორიული და თანამედროვე საგარეო პოლიტიკური კონტექსტების შეფასება;
- კვლევების დაგეგმვა და განხორციელება საგარეო ურთიერთობების სფეროში;
- საერთაშორისო და რეგიონულ ურთიერთობებში კრიტიკულად ორიენტირებული აზროვნების დემონსტრირება.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაასრსთან და სწავლის შედეგებთან.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად აკმაყოფილებს 1.4 სტანდარტის მოთხოვნებს. იგი დაგეგმილია მეთოდოლოგიურად გამართული პრინციპებით, ფოკუსირებულია სწავლის შედეგებზე და უზრუნველყოფს შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან. კურსების თანმიმდევრული განვითარება, შინაარსის სიღრმე და ინტერდისციპლინარული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტის აკადემიური და პროფესიული მზაობის სრულფასოვნად განვითარებას.~

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ამერიკის შეერთბული შტატების საგარეო ურთიერთობების პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა

**რეკომენდაციები:**

- ○

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ○

**შეფასება**

პროგრამა შესაბამისია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- ➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის თითოეული კურსის შინაარსი და მასზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია შესაბამისობისა და დატვირთვის პრინციპით – თითოეული ECTS კრედიტი შეესაბამება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას და მოიცავს როგორც აუდიტორიულ, ასევე დამოუკიდებელ მუშაობას. აქედან გამომდინარე საგნების შინაარსი სრულად შეესაბამება დაგეგმილ შედეგებს და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს საკმარის დროს შედეგების მისაღწევად.

ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ბირთვი აგებულია ძირითად კურსებზე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება პროგრამის ზოგად მიზანს – ამერიკის საგარეო პოლიტიკის ანალიზსა და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას:
შესაბამისად, ძირითადი სფეროს კურსების შინაარსი და შედეგები მჭიდროდაა კავშირში მთლიან პროგრამასთან და უზრუნველყოფს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და რესურსები თანამედროვე, რელევანტური და მაღალი აკადემიური სტანდარტების შესაბამისია. სილაბუსებში მითითებული მასალა სრულად უზრუნველყოფს სწავლების მიზნებთან შესაბამისობას და ხელს უწყობს როგორც კრიტიკული აზროვნების, ასევე დამოუკიდებელი კვლევების უნარის განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

პროგრამა შესაბამისია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ამერიკის საგარეო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების წესი სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის არსებობა და ეროვნული საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

დამატებითი აკადემიური ფონის შესაფასებლად უნივერსიტეტი ატარებს შიდა გამოცდას სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე), რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტს გააჩნდეს როგორც პროფესიული მზადყოფნა, ისე სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის აუცილებელი ენის კომპეტენცია. უნივერსიტეტი ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებს და გონივრულ მიდგომას ავლენს იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატს უკვე გააჩნია ინგლისური ენის შესაბამისი დონის სერტიფიკატი ან დაამთავრა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა – აღნიშნული აპლიკანტები თავისუფლდებიან ენის გამოცდისგან.

ასევე, პროგრამაზე დაშვება და ჩარიცხვა რეგულირდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №10 ბრძანების საფუძველზე, რაც გულისხმობს სტუდენტთა მობილობის პროცესების მოქნილ და გამჭვირვალე მართვას.

**დასკვნა:** პროგრამის მიღების მექანიზმი გამჭვირვალეა, სანდოა, გააჩნია მკაფიო კრიტერიუმები და სრულ შესაბამისობაშია როგორც ეროვნულ კანონმდებლობასთან, ისე უნივერსიტეტის შიდა რეგლამენტთან. ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა შერჩევის სამართლიანობას და მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- ამერიკის შეერთბული შტატების საგარეო ურთიერთობების პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**შეფასება**

პროგრამა შესაბამისია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას, რაც რეალიზებულია როგორც სპეციალიზებულ კურსებში, ასევე სამაგისტრო თეზისის მომზადების პროცესში. სტუდენტები სწავლობენ კვლევის მეთოდოლოგიას, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის ანალიზის თანამედროვე მიდგომებს, რაც მათ აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად დაგეგმონ და განახორციელონ აკადემიური კვლევა.

სტუდენტები მუშაობენ კონკრეტულ პოლიტიკურ სცენარებზე, იყენებენ ქეის სტადის მეთოდებს, იღებენ მონაწილეობას დისკუსიებში, მოდელირებულ მოლაპარაკებებში და დებატებში, რაც ავითარებს მათ ლიდერულ და ანალიტიკურ კომპეტენციებს.

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს როგორც სფეროს სპეციფიკური, ისე ზოგადი და გადატანადი უნარების განვითარებას. კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, პრაქტიკულ დავალებებსა და ჯგუფურ პროექტებზე ორიენტირებული სწავლება ეფექტურად ემსახურება სტუდენტების პროფესიულ და აკადემიურ მზაობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სილაბუსები
- ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

პროგრამა შესაბამისია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ამერიკის საგარეო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან და გონივრულად შერჩეულ მეთოდებს, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება როგორც პროგრამის მიზნებს, ასევე მის დადგენილ სწავლის შედეგებს. პროგრამის ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა: ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, სტრატეგიული დაგეგმვა, დოკუმენტური კვლევა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება საგარეო პოლიტიკის კონტექსტში.

პროგრამა უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობას, რაც ხელს უწყობს როგორც დამოუკიდებელი აზროვნების, ისე კოლაბორაციული უნარების განვითარებას – რაც ძალზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროში.

სწავლა-სწავლების მეთოდები კარგად არის შერწყმული პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების ფართო გამოყენება, მრავალფეროვანი ტექნიკების და ტექნოლოგიების ინტეგრაცია უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს და სწავლის პროცესის ეფექტურობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- ამერიკის შეერთბული შტატების საგარეო ურთიერთობების პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**შეფასება**

